

შპს "დაჯი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3/4
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ძირითადი საშუალებები	14
5. მარაგები	15
6. ფული და ფულის ექვივალენტები	15
7. საწესდებო კაპიტალი	15
8. სესხები	16
9. სხვა საოპერაციო ხარჯები	16
10. პირობითი ვალდებულებები	17
12. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	18
11. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	18

შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „დაჯის“ და შპს „სასწავლო და საგამოცდო ცენტრი პტი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 30 აგვისტო.

დავით კვანტძე

დირექტორი



2024 წლის 30 აგვისტო

შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	3730703	3822221
გრძელვადიანი ინვესტიციები		135000	30000
არამატერიალური აქტივები		1533	1793
სულ გრძელვადიანი აქტივები		3867236	3854014
მიმდინარე აქტივები:			
გადახდილი ავანსები		22531	9499
მარაგები	5	1587	2700
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		70296	95423
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		179525	7940
ფული და ფულის ექვივალენტები	6	197330	379854
სულ მიმდინარე აქტივები		471269	495416
სულ აქტივები		4338505	4349430
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	7	1615	1615
გაუნაწილებელი მოგება		1233977	2074625
სულ კაპიტალი		1233592	2076240
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	8	2471192	3165727
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		2471192	3165727
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		22204	16489

შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიღებული ავანსები		10989	7784
გადასახდელი ხელფასები		7496	
ვალდ.საწ.პერს.წინაშე		130	15805
საპენსიო გადასახადი			162
გადასახდელი პროცენტები	8	10359	11569
მოკლევადიანი სესხები		4486	90801
საგადასახადო ვალდებულებები		36072	24373
სულ მიმდინარე ვალდებულებები		633721	166983
სულ ვალდებულებები		3104733	3332710
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		3338505	4349430

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 30 აგვისტო

დავით კვანტიძე

დირექტორი



შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 და 2022 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

კონსოლიდირებული	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი		1 939 596	1 542 598
სხვა შემოსავალი		0	0
სულ შემოსავლები		1 939 596	1 542 598
რეალიზ.პრ.თვითღ.		(717)	0
შრომის ანაზღაურება		(725 433)	(601 311)
საიჯარო ქირა		(131 364)	(101 695)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(179 971)	(171 568)
პროგრამის მომსახურების ხარჯი		(37 552)	(29 620)
კომუნალურები		(53 719)	(58 183)
კომუნიკაცია		(3 965)	(4 058)
აკრედიტაციის ხარჯი		(116 058)	(124 295)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(177 197)	(192 404)
სულ საოპერაციო მოგება		514 337	259 464
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(59 773)	(29 854)
საპროცენტო შემოსავლები		0	0
საპროცენტო ხარჯები		(134 204)	(133 130)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		(24 808)	588 351
მოგების გადასახადი		(68)	(6 579)
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)		294 867	678 252
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		-	-

დავით კვანტიძე

დირექტორი



2024 წლის 30 აგვისტო

შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

7-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება კონსოლიდირებული
2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	1 615	373 695	375 310
სულ წლის სრული შემოსავალი		678 252	
გაცემული დივიდენდი		(36 842)	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრი	1 615	1 015 105	1 016 720
სულ წლის სრული შემოსავალი		294 766	
გაცემული დივიდენდი		(77 894)	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრი	1 615	1 231 977	1 233 592

7-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დაჯი“ ჯგუფის მშობელი კომპანია (ჯგუფში შემავალი კომპანიების სია იხილით ქვემოთ მოცემულ ცხრილში) დაფუძნებულია 1996 წლის 13 აგვისტოს და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 204886276. კომპანიის 100%-ის წილის მფლობელს წარმოადგენს ფიზიკური პირი დავით კვანტიძე (პ/ნ 01009008188).

შპს „დაჯის“-ს ფაქტობრივი მისამართია: ქერჩის ქუჩა 10ა, ხოლო მისი ფილიალის მისამართია კერესელიძის 1, კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილების ტექნიკურ ინსპექტირება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე საქართველოს მთავრობის 511 დადგენილების მუხლი 3, ქვეპუნქტი 14-ის შესაბამისად კომპანია ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორებას თავისი ძირითადი საქმიანობიდან. კომპანიას მართავს კომპანიის 100%-ის წილის მფლობელი დავით კვანტიძე (პ/ნ 01009008188).

2023 წლის 31 დეკემბერი შვილობილი კომპანიები	საკუთრება %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	საქმიანობა	შესყიდვის თარიღი
შპს სასწავლო და საგამოცდო ცენტრი პტი ს/კ 405221424	50%	საქართველო	01.08.2017წ	ავტომობილების ტექნიკურ ინსპექტირება, საკუთარი ფართის იჯარით მომსახურება	28.12.2023წ

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 37 თანამშრომელი.

2021-2022 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 35 თანამშრომელი.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

2.1 წარდგენის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და შესაბამისად მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემები მოცემულია ქართულ ლარში თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

2023 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე. სხვა პირდაპირ დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	10-20
სატრანსპორტო საშუალებები	5-20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-15
სხვა ძირითადი საშუალებები	12

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი. 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამიკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით. 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

2.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
3. ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
4. გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას

5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.5 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

კომპანიას გააჩნია სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი. მარაგის შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა ან/და დანაკლისი აისახება კომპანიის მიმდინარე ხარჯად ან შემოსავლად და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში სხვა შემოსავალი/ხარჯის შესაბამის ანგარიშზე.

კომპანიის მარაგების უდიდეს წარმომადგენს სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულებას.

2.6 მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები შედგება გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მისაღები თანხებისგან. კომპანია მისაღებ თანხებს პრაქტიკულად სრულად აგროვებს მომსახურების გაწევისთანავე. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას არ ელოდება და მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებები არ გააჩნია.

2.7 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე, ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ავანსი გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

2.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაზრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

2.10 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გატანა, რომელზეც აგრეთვე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება.

2.11 დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

2.12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

2.13 დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო

ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

2.14 ამონაგები

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქციოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაწუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელების მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო

პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

2.16 საოპერაციო ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

კომპანია ახორციელებს ტექნიკური დათვალიერების მომსახურებას და მისი ხარჯები სრულად ხმარდება ამ მომსახურების გაწევას ან მის მხარდაჭერას. შესაბამისად კომპანიის მომსახურებათანაა დაკავშირებული ყველა ტიპის ხარჯი და ისინი საოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება. საოპერაციო ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და ამ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

2.17 ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ

ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების განსაზღვრა
კონსოლიდირებული

(ლარებში)

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარე ბი	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	1 150 310	1 380 869	965 094	186 796	165 962	102 067	3 951 098
შესყიდვები	-	-	2 814	107 585	10 608	10 324	131 331
ჩამოწერა/გაყიდვა	-	-	-	98 326	-	-	98 326
ცვეთის ხარჯი	-	26 594	99 013	1 154	25 496	9 625	161 882
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1 150 310	1 354 275	868 894	194 901	151 074	102 766	3 822 220
შესყიდვები	-	-	1 559	175 500	9928	-	186 987
ჩამოწერა/გაყიდვა	-	-	26 393	87 320	-	-	113 713
ცვეთის ხარჯი	-	28 371	96 617	606	29 922	10 486	164 791
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1 150 310	1 325 904	747 443	283 687	131 081	92 280	3 730 705

შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

4. მარაგები

მოცემულია 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების კონსოლიდირებული საბალანსო ნაშთები:

	31.12.2023	31.12.2022
სხვა მარაგები	1 587	2 700
	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	1 587	2 700

5. ფული და ფულის ექვივალენტები

მოცემულია 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების კონსოლიდირებული საბალანსო ნაშთები:

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული საღაროში	63 794	202 536
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	133 536	177 318
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	197 330	379 854

6. საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 1,615 ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელს წარმოადგენდა დავით კვანტიძე.

7. სესხები

შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული სესხების საბალანსო ნაშთებია:

	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი სესხები	2 471 192	3 165 727
გადასახდელი პროცენტები	10 359	11 569
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	2 481 551	3 177 296

კომპანიას გააჩნია სესხები სს „პროგრედიტბანკისაგან“ ევროში. სესხის პროცენტი ევროში შედგენს 3,90%-დან 7,37%-მდე. ყველა არსებული სესხი გრძელვადიანია და მათი დასრულების თარიღები მერყეობს 2023-დან 2032 წლამდე.

სესხებთან მიმართებაში კომპანიას უჩნდება სავალუტო რისკი, იქიდან გამომდინარე, რომ მისი შემოსავლები გენერირდება ლარებში, ხოლო სესხების დიდი ნაწილი გადასახდელია შესაბამისი უცხოური ვალუტების მიმდინარე კურსით.

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

მოცემულია 2023 და 2022 წლებში გაწეული სხვა საოპერაციო კონსოლიდირებული ხარჯების ჩაშლა :

	31.12.2023	31.12.2022
შრომის ანაზღაურება	725433	601311
აკრედიტაციის ხარჯები	116058	124295
პროგრამის მომსახურება	37552	29621
კომუნალური ხარჯები	53719	58183
საკომუნაქაციო ხარჯები	3965	4058
საგადასახდო ხარჯები	28014	29540
საკანცელარიო ხარჯი	2582	2200
ბანკის მომსახურების ხარჯები	17638	14907
იჯარის მომსახურება	131365	101695
სხვა ხარჯები	308984	311514

10. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვლადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევა, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე.

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

11. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო სამართლებრივ ფორმას, რადგანაც დაკავშირებულ მხარეებს შორის შეძლება მოხდეს ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც ვერ მოხდება დაუკავშირებელ პირებთან. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

ოპერაციის შინაარსი	მფლობელები	უმაღლესი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები
პერსონალის ხარჯები 2023		75 000	
პერსონალის ხარჯები 2022		52 500	

12. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა დედა კომპანიის შვილობილ საწარმოში შეცდომას, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს:

2023 წელს, საწარმოს შვილობილმა კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამოჩენილი იყო სესხის გადაფასების გატარება. აღნიშნული შეცდომების გასწორება აღირიცხა რეტროსპექტულად და 2022 წლის შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა. გადაფასების გატარების გასწორებამ გამოიწვია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალის ცვლილება და ზარალის ნაცვლად 137 630 ლარით გაიზრდა მოგება. აღნიშნული შეცდომა გასწორდა 2023 წლის ანგარიშგების წარდგენი დროს.

შპს "დაჯი"

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

შინაარსი:

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3/4
კონსოლიდირებული სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	13
4. ძირითადი საშუალებები	14
5. მარაგები	15
6. ფული და ფულის ექვივალენტები	15
7. საწესდებო კაპიტალი	15
8. სესხები	16
9. სხვა საოპერაციო ხარჯები	16
10. პირობითი ვალდებულებები	17
12. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	18
11. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები	18

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „დაჯის“ და შპს „სასწავლო და საგამოცდო ცენტრი პტი“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და მფლობელთა კაპიტალში ცვლილებებს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 30 აგვისტო.

დავით კვანტიძე

დირექტორი

2024 წლის 30 აგვისტო

საქართველო, თბილისი

საქართველო, თბილისი

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის
ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრისა მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	4	3730703	3822221
გრძელვადიანი ინვესტიციები		135000	30000
არამატერიალური აქტივები		1533	1793
სულ გრძელვადიანი აქტივები		3867236	3854014
მიმდინარე აქტივები:			
გადახდილი ავანსები		22531	9499
მარაგები	5	1587	2700
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		70296	95423
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		179525	7940
ფული და ფულის ექვივალენტები	6	197330	379854
სულ მიმდინარე აქტივები		471269	495416
სულ აქტივები		4338505	4349430
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი:			
საწესდებო კაპიტალი	7	1615	1615
გაუნაწილებელი მოგება		1233977	2074625
სულ კაპიტალი		1233592	2076240
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები:			
გრძელვადიანი სესხები	8	2471192	3165727
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები:		2471192	3165727
მიმდინარე ვალდებულებები:			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		22204	16489

შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მიღებული ავანსები	10989	7784
გადასახდელი ხელფასები	7496	
ვალდ.საწ.პერს.წინაშე	130	15805
საპენსიო გადასახადი		162
გადასახდელი პროცენტები	8	11569
მოკლევადიანი სესხები	4486	90801
საგადასახადო ვალდებულებები	36072	24373
სულ მიმდინარე ვალდებულებები	633721	166983
სულ ვალდებულებები	3104733	3332710
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	3338505	4349430

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 30 აგვისტო

დავით კვანტიძე

დირექტორი

შპს „დაჯი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2023 და 2022 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში

კონსოლიდირებული	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
შემოსავალი		1 939 596	1 542 598
სხვა შემოსავალი		0	0
სულ შემოსავლები		1 939 596	1 542 598
რელიზ.პრ.თვითღ.		(717)	0
შრომის ანაზღაურება		(725 433)	(601 311)
საიჯარო ღირსება		(131 364)	(101 695)
ცვდისა და ამორტიზაციის ხარჯი		(179 971)	(171 568)
პროგრამის მომსახურების ხარჯი		(37 552)	(29 620)
კომუნალურები		(53 719)	(58 183)
კომუნიკაცია		(3 965)	(4 058)
აკრედიტაციის ხარჯი		(116 058)	(124 295)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(177 197)	(192 404)
სულ საოპერაციო მოგება		514 337	259 464
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(59 773)	(29 854)
საპროცენტო შემოსავლები		0	0
საპროცენტო ხარჯები		(134 204)	(133 130)
სხვა არასაოპერაციო მოგება/(ზარალი)		(24 808)	588 351
მოგების გადასახადი		(68)	(6 579)
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)		294 867	678 252
პერიოდის სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ პერიოდის სრული შემოსავალი		-	-

დავით კვანტაძე

დირექტორი

2024 წლის 30 აგვისტო

7-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება კონსოლიდირებული
2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრი	1 615	373 695	375 310
სულ წლის სრული შემოსავალი		678 252	
გაცემული დივიდენდი		(36 842)	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრი	1 615	1 015 105	1 016 720
სულ წლის სრული შემოსავალი		294 766	
გაცემული დივიდენდი		(77 894)	
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრი	1 615	1 231 977	1 233 592

7-18 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „დაჯი“ ჯგუფის მშობელი კომპანია (ჯგუფში შემავალი კომპანიების სია იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში) დაფუძნებულია 1996 წლის 13 აგვისტოს და რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია 204886276. კომპანიის 100%-ის წილის მფლობელს წარმოადგენს ფიზიკური პირი დავით კვანტიძე (პ/ნ 01009008188).

შპს „დაჯის“-ს ფაქტობრივი მისამართია : ქერჩის ქუჩა 10ა, ხოლო მისი ფილიალის მისამართია კერესელიძის 1, კომპანია წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ავტომობილების ტექნიკურ ინსპექტირება. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ასევე საქართველოს მთავრობის 511 დადგენილების მუხლი 3, ქვეპუნქტი 14-ის შესაბამისად კომპანია ახორციელებს უნაღდო ანგარიშსწორებას თავისი ძირითადი საქმიანობიდან. კომპანიას მართავს კომპანიის 100%-ის წილის მფლობელი დავით კვანტიძე (პ/ნ 01009008188).

2023 წლის დეკემბერი შვილობილი კომპანიები	31	საკუთრება %	ქვეყანა	დაფუძნების თარიღი	საქმიანობა	შესყიდვის თარიღი
შპს სასწავლო და საგამოცდო ცენტრი პტი ს/კ 405221424		50%	საქართველო	01.08.2017წ	ავტომობილების ტექნიკურ ინსპექტირება, საკუთარი ფართის იჯარით მომსახურება	28.12.2023წ

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიაში დასაქმებული იყო 37 თანამშრომელი.

2021-2022 წლების განმავლობაში კომპანიაში დასაქმებული იყო საშუალოდ 35 თანამშრომელი.

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა.

2.1 წარდგენის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (მსს ფასს).

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კონსოლიდირებული ანგარიშგების საანგარიშო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.2 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და შესაბამისად მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემები მოცემულია ქართულ ლარში თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

2023 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

2.3 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს ფასს მე-17-ე განყოფილების "ძირითადი საშუალებების" შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე. სხვა პირდაპირ დანახარჯებს რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა დანადგარები	10-20
სატრანსპორტო საშუალებები	5-20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-15
სხვა ძირითადი საშუალებები	12

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: ა. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი. 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამიკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით. 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

2.4 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილებები შეეხო მოგების გადასახადის გაანგარიშებისა და წარდგენის წესს. ამოქმედდა მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელი, რომლის შემოღების მიზანია გადასახადების ადმინისტრირების გამარტივება, ბიზნესის განვითარებისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა.

ძირითად სიახლეს წარმოადგენს საწარმოთა მოგების დაბეგვრის გადავადება იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. აღნიშნული გაზრდის კომპანიების წვდომას ფულად სახსრებზე და წახალისებს მიღებული მოგების რეინვესტირებას იმავე ან ახალ საქმიანობაში.

მოგების გადასახადის 15 პროცენტიანი განაკვეთი უცვლელი რჩება, თუმცა, ტექნიკურად, გადასახადი გაანგარიშდება დასაბეგრი განაცემის თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. ამასთან, მოგების გადასახადით დაბეგვრა და გადახდა ყოველწლიური პრინციპის ნაცვლად, მოხდება ყოველთვიურად, არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა.

დაბეგვრის ახალი მოდელი ეხება ყველა საწარმოს, გარდა კომერციული ბანკებისა, სადაზღვევო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, საკრედიტო კავშირებისა, ლომბარდებისა, “წავთობისა და გაზის შესახებ” კანონით დადგენილი შესაბამისი საწარმოებისა და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი ტოტალიზატორებისა.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

1. დივიდენდის განაწილება
2. სხვაობები გარიგების ფასსა და საბაზრო ფასს შორის
3. ხარჯები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას
4. გადახდები, რომელიც არ უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას

5. უსასყიდლო მიწოდება და ჩუქება
6. წარმომადგენლობითი ხარჯები ზღვრული ოდენობის ზემოთ

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

2.5 მარაგები

მარაგი ისეთი აქტივია, რომელიც: ა) გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში; ბ) მონაწილეობს ამგვარი გაყიდვისათვის გამოიზნული მარაგის წარმოების პროცესში; გ) წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალის სახით, რომელიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის ან მომსახურების გასაწევად.

კომპანიას გააჩნია სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი. მარაგის შეფასება ხდება მისი თვითღირებულებით.

თვითღირებულების გაანგარიშებისთვის კომპანიას არჩეული აქვს საშუალო შეწონილის მეთოდი.

საწარმო ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს აფასებს გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურდა, საწარმო მარაგს აფასებს და აღიარებს შესაბამის გაუფასურების ზარალს.

კომპანიაში მარაგების ინვენტარიაზაცია ტარდება ყოველი თვის ბოლოს და შესაბამისი ინვენტარიზაციის აქტის საფუძველზე ხდება მარაგების ჩამოწერა. ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი ზედმეტობა ან/და დანაკლისი აისახება კომპანიის მიმდინარე ხარჯად ან შემოსავლად და აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში სხვა შემოსავალი/ხარჯის შესაბამის ანგარიშზე.

კომპანიის მარაგების უდიდეს წარმომადგენს სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი, რომელიც გამოიყენება ძირითად საქმიანობაში და ჩამოწერის დროს შეადგენს თვითღირებულებას.

2.6 მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით.

კომპანიის მოთხოვნები შედგება გაწეული მომსახურების სანაცვლოდ მისაღები თანხებისგან. კომპანია მისაღებ თანხებს პრაქტიკულად სრულად აგროვებს მომსახურების გაწევისთანავე. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას არ ელოდება და მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებები არ გააჩნია.

2.7 მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები აისახება მიმდინარედ, თუ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ ავანსის მიღება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არამიმდინარე აქტივთან, აქტივზე კომპანიის მხრიდან კონტროლის დამყარებისთანავე, ამასთან უნდა არსებობდეს ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ავანსი გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას.

2.8 ფული და ფულის ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანაბრებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

2.10 კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გატანა, რომელზეც აგრეთვე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება.

2.11 დივიდენდები

დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

2.12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

2.13 დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შემენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო

ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

2.14 ამონაგები

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქცეთოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე.

ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

კომპანია საქონლის გაყიდვიდან (მომსახურების გაწევიდან) მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა (ბოლო სამი ვრცელდება მომსახურების გაწევიდან მისაღებ ამონაგებზე):

- კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- კომპანია არ ინაჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაწეული ან მომავალ პერიოდში გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

2.15 დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და წლიური ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო

პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმომ დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი. (თვითღირებულების ნაწილი თუ იგი ჩასართველია თვითღირებულების გაანგარიშებაში)

2.16 საოპერაციო ხარჯები

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

კომპანია ახორციელებს ტექნიკური დათვალიერების მომსახურებას და მისი ხარჯები სრულად ხმარდება ამ მომსახურების გაწევას ან მის მხარდაჭერას. შესაბამისად კომპანიის მომსახურებათაა დაკავშირებული ყველა ტიპის ხარჯი და ისინი საოპერაციო ხარჯებს მიეკუთვნება. საოპერაციო ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და ამ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

2.17 ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ

ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს ძირითადი სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ნიშნავს, რომ კომპანიას შეუძლია მიმდინარე აქტივების რეალიზაციით დაფაროს მიმდინარე ვალდებულებები. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ფინანსურ რესურსებზე წვდომა და გაანალიზა არსებული ეკონომიკური გარემო, რომელშიც მას უწევს ოპერირება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებაზე თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან შემოსავლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილებები გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

საექვო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტის გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად ქმნის საექვო ვალების გაუფასურების რეზერვს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს გადახდის ვადის დარღვევა, დებიტორის საკრედიტო რეიტინგის გაუფასურება და ა.შ. ხელმძღვანელობა ამასთან ერთად ითვალისწინებს დებიტორული დავალიანებების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის საიმედოობას და ამის შესაბამისად ხდება სავარაუდო გაუფასურების რეზერვის შექმნა.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულების განსაზღვრა

კონსოლიდირებული

(ლარებში)

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	სატრანსპორტო საშუალებები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	1 150 310	1 380 869	965 094	186 796	165 962	102 067	3 951 098
შესყიდვები	-	-	2 814	107 585	10 608	10 324	131 331
ჩამოწერა/გაყიდვა	-	-	-	98 326	-	-	98 326
ცვეთის ხარჯი	-	26 594	99 013	1 154	25 496	9 625	161 882
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	1 150 310	1 354 275	868 894	194 901	151 074	102 766	3 822 220
შესყიდვები	-	-	1 559	175 500	9928	-	186 987
ჩამოწერა/გაყიდვა	-	-	26 393	87 320	-	-	113 713
ცვეთის ხარჯი	-	28 371	96 617	606	29 922	10 486	164 791
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	1 150 310	1 325 904	747 443	283 687	131 081	92 280	3 730 705

4. მარაგები

მოცემულია 2022 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგების კონსოლიდირებული საბალანსო ნაშთები:

	31.12.2023	31.12.2022
სხვა მარაგები	1 587	2 700
	-	-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	1 587	2 700

5. ფული და ფულის ექვივალენტები

მოცემულია 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების კონსოლიდირებული საბალანსო ნაშთები:

	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული სალაროში	63 794	202 536
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	133 536	177 318
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში		-
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	197 330	379 854

6. საწესდებო კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ნებადართული და გადახდილი კაპიტალი შეადგენდა 1,615 ლარს.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-ის მფლობელს წარმოადგენდა დავით კვანტიძე.

7. სესხები

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული კონსოლიდირებული სესხების საბალანსო ნაშთებია:

	31.12.2023	31.12.2022
გრძელვადიანი სესხები	2 471 192	3 165 727
გადასახდელი პროცენტები	10 359	11 569
სულ ფული და ფულის ექვივალენტები:	2 481 551	3 177 296

კომპანიას გააჩნია სესხები სს „პროკრედიტბანკისაგან“ ევროში. სესხის პროცენტი ევროში შედგენს 3,90%-დან 7,37%-მდე. ყველა არსებული სესხი გრძელვადიანია და მათი დასრულების თარიღები მერყეობს 2023-დან 2032 წლამდე.

სესხებთან მიმართებაში კომპანიას უჩნდება სავალუტო რისკი, იქიდან გამომდინარე, რომ მისი შემოსავლები გენერირდება ლარებში, ხოლო სესხების დიდი ნაწილი გადასახდელია შესაბამისი უცხოური ვალუტების მიმდინარე კურსით.

8. სხვა საოპერაციო ხარჯები

მოცემულია 2023 და 2022 წლებში გაწეული სხვა საოპერაციო კონსოლიდირებული ხარჯების ჩაშლა :

	31.12.2023	31.12.2022
შრომის ანაზღაურება	725433	601311
აკრედიტაციის ხარჯები	116058	124295
პროგრამის მომსახურება	37552	29621
კომუნალური ხარჯები	53719	58183
საკომუნაქაციო ხარჯები	3965	4058
საგადასახადო ხარჯები	28014	29540
საკანცელარიო ხარჯი	2582	2200
ბანკის მომსახურების ხარჯები	17638	14907
იჯარის მომსახურება	131365	101695
სხვა ხარჯები	308984	311514

10. პირობითი ვალდებულებები

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე ოპერირება, როგორც სხვა განვითარებადი ქვეყნების ბაზრები, წარმოშობს დამატებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია სოციალური და ეკონომიკური გარემოს სწრაფ ცვლადობასთან. ამასთან ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი იურიდიული და საკანონმდებლო გარემო და ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ განვითარებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა არსებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან ერთად.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რაც ძირითადად განმარტებების ცვლილებებთან არის დაკავშირებული. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

კომპანიას მიაჩნია, რომ ყველა გადასახადი წარდგენილი და გადახდილი აქვს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად და არანაირ ანარიცხს არ წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუმცა შესაძლებელია საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხებზე გააკეთონ განსხვავებული განმარტებები საკითხების გლობალური განხილვის შედეგად, რასაც შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიის ფინანსურ შედეგზე.

გარემოს დაცვა

მენეჯმენტის აზრით, კომპანიის საქმიანობა შეესაბამება სახელმწიფოს მოთხოვნებს გარემოს დაცვის საკითხებში. აქედან გამომდინარე მიიჩნევს, რომ კომპანიას რაიმე ვალდებულება გარემოსდაცვით რეგულაციებთან მიმართებაში არ გააჩნია. კომპანია მომავალშიც მუდმივად განახორციელებს მონიტორინგს ამ კუთხით კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებზე

სასამართლო დავები

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია ისეთი ტიპის სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

11. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებში შედიან მფლობელები, პირები ერთობლივი მფლობელობისა და კონტროლის ქვეშ, აგრეთვე კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტი.

დაკავშირებულ მხარეებთან ტრანზაქციების განხორციელებისას ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მარტო სამართლებრივ ფორმას, რადგანაც დაკავშირებულ მხარეებს შორის შეძლება მოხდეს ისეთი ტრანზაქციები, რომლებიც ვერ მოხდება დაუკავშირებელ პირებთან. კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ნაშთები და გარიგებები:

ოპერაციის შინაარსი	მფლობელები	უმაღლესი მენეჯმენტი	საერთო მფლობელობაში მყოფი კომპანიები
პერსონალის ხარჯები 2023		75 000	
პერსონალის ხარჯები 2022		52 500	

12. ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები

საანგარიშო პერიოდის შემდეგ ადგილი ჰქონდა დედა კომპანიის შვილობილ საწარმოში შეცდომას, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს:

2023 წელს, საწარმოს შვილობილმა კომპანიამ აღმოაჩინა, რომ 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გამორჩენილი იყო სესხის გადაფასების გატარება. აღნიშნული შეცდომების გასწორება აღირიცხა რეტროსპექტულად და 2022 წლის შესადარისი ინფორმაცია გადაანგარიშდა. გადაფასების გატარების გასწორებამ გამოიწვია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკუთარი კაპიტალის ცვლილება და ზარალის ნაცვლად 137 630 ლარით გაიზრდა მოგება. აღნიშნული შეცდომა გასწორდა 2023 წლის ანგარიშგების წარდგენი დროს.